ग्रन्थ संख्या
1886

1. [illegible] 23. 19, 20, 130

2. [illegible] 23. 414, 419

3. [illegible] 415

4. [illegible] 253

5. [illegible] 32,

6. [illegible] 43

7. [illegible] 337, 349, 343. ~~349~~

8. [illegible] 369.

9. [illegible] 248. 274.

10. [illegible] ~~254~~ 529

11. [illegible] 342

12. [illegible] 337.

13. [illegible] 350

14. [illegible] 333

15. [illegible] 374

16. [illegible] 302 [illegible]

17. [illegible] 424.

18. [illegible] 23. 30

19. [illegible] N1. [illegible]
2. N [illegible]

20. [illegible] 374 [illegible]

21. [illegible] N4, N7 [illegible]

Unsorted

თეატრი

საოჯახო-კვირაო ლიტერატურული და სამხატვრო გაზეთი

1 იანვარს გამოცემა № 1 კვირაობით 1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

5 828

ქართული თეატრი

1886

ოთხშაბათს, 1 იანვარს

ბენეფისი

ა. მ. მოხევესი

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

სადავო მფლობელობა

კომედია 3 მოქმედებად, გადმოკეთებული თ. დ. ერისთავისაგან

II

წუთით საცოლე

ვოდევილი 1 მოქმედ., გადმოკ. ქ. ნასიძისაგან

III

დივერტისმენტი

ლეკური და ჩეჩნური

დასაწყისი 8 საათზე.

გამოვიდა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში



ფასი ერთი აბაზი

უნივერსიტეტის ... ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი Библиотека-музей имени И. Гришашвили

ჰამლეტი ქართულს სცენაზედ.

(გაგრძელება *)

წარსულს სტატიაში მკითხველებს ორიოდე სიტყვით გავაცანით ჰამლეტის ხასიათი, მაგრამ ეს მცირედი შენიშვნა საკმარისი არ არის, რომ ეს მთელი კაცობრიობის წარმომადგენელი პირი გაიგოს, რადგანაც იმოდენათ რთული, მაღალი და ძრიელი ბუნების მქონია, რომ ჯეროვანს ანალიზს ითხოვს იმის უღრმოესი სულის და გულის ჩასახედავად, საიდგანაც ჩვენ ამოვიკითხავთ მთელი მეცნიერი კაცობრიობის ხასიათს, თვისებას და მიდრეკილებას.

ჰამლეტი წარმოადგენს საკუთარს ქვეყანას, ნამდვილის ცხოვრებისას, რომელიც რამოდონათაც მაღალია იმოდონადვე უბრალო. ახალ-გაზდა მეფის შვილი, რომელიც პირ-და-პირი სამეფო ტახტის მემკვიდრეა, რომელსაც სწავლა სწყურიან და თვითონ ამ განმარტოებითს, მოწყენილს ცხოვრებაში ჰპოვებს ნეტარებას, სიცოცხლის შინაგანს მიმდინარეობას. ჰამლეტი ბუნებითვე ჩაფიქრებული და დაღვრემილი ხასიათისაა, როგორც ყოველივე კაცი, რომლებშიაც თვითონ საკუთარი სიცოცხლე სადგურობს, ის ამფეთქებელი ხასიათისაა, როგორც ყოველივე პატიოსანი სულის მქონი კაცი: ყოველივე ბოროტება ენერგიას აძლიერებს მაში და ყოველივე კეთილი მოვლენა აბედნიერებს, იმის მამის სიყვარული თაყვანის ცემამდის მიდის, იმიტომ უყვარს ასე რომ, მაშია ხედავს არამც თუ მარტო ცარიელა, უაზრო ფორმას, არამედ ის სიმშვენიერე და დიდ-სულოვანობა, რომელიც იმის გულის სირღმოებას ავსებს; იმას უყვარს ახალ-გაზდა ქალი და ეს გრძნობა მას აძლევს რწმუნებას სიცოცხლეში და ნეტარებას ცხოვრებაში. რასაკვირველია, თუ რომ დანიის პრინცს ჰღირსებოდა მეფობა, უეჭველია ის ეპოქა ბედნიერი და სამაგალითო იქნებოდა მთელი კაცობრიობისათვის, როგორც მეფე, რომელიც სრულის სიკეთით და ღირსებებით დაკმაყოფილებულია. მაგრამ ჰამლეტი, როგორც ჩვენა გვაქვს წარმოდგენილი, იგი შესდგება მშვენიერის სხვა-და-სხვა ელემენტებით, რომელიც ოდესმე უეჭველად გაერთდება და გაჭეშმარიტდება, მხოლოდ ეხლა კი იმაში სუნთქავს მშვენიერი სული, რომელიც ოცნებებით სავსეა, მხოლოდ იგი სჯის აწმყოზედ და არა მომავალზედ, რომლის სუბექტიური შეხედულობა ცხოვრებაზედ საჭიროა. ეს ცხოვრების ეპოქა, ჭაბუკური ზნეობითი მდგომარეობაა, რომლის შედეგი დაცემაა. ეს საერთო და აუცილებელი მოვლენა ყოველივე პატიოსანი კაცის ბედს შეადგენს, მაგრამ როდესაც კაცი ამ დისჰარმონიული მდგომარეობიდგან ჰარმონიულს სულში გადადის, სულის და გონების შინაგანის ბრძოლვით, მხოლოდ ამ გვარი კაცი ეკუთვნის მაღალი განვითარებული სფერის საზოგადოებას. მაგრამ რა შთაბეჭდილებას ახდენს ამ ოცნებით გატაცებულს სულზედ, როდესაც იგებს თავის მამის სიკვდილს და დედის საზიზღარს ქცევას, რომელიც ორი თვის შემდეგ თხოვდება,—მაგრამ საქმე იმაშია, თუ ვიზედ? დიახ, იგი ირთავს თავის ქმრის ღვიძლს ძმას, მაზლს, რომელსაც სახელმწიფო ტახტი მზითვით მოაქვს! აი, ჰამლეტი აქა ხედავს, რომ ოცნება სიცოცხლეზედ და თვითონ სიცოცხლე ძალიან დაშორებულნი არიან, ამ ორში ან ერთია მაცდურება და ან მეორე: მაცდურება უფრო ნათლად ეხატება მას და ოცნება სიცოცხლეზედ კი უფრო პასივნურს მონაწილეობას იღებს იმის სულის სიღრმოებაში. რა ემართება ამ მშვენიერს სულს, როდესაც აჩრდილი ეცხადება და თავის სიკვდილზედ, ჯოჯოხეთზედ უამბობს, რომელიც გაკვრით ეუბნება შურის გებაზედ? აი, აქ ჰამლეტმა კეთილიც და ბოროტიც დასწყევლა—სიცოცხლე! დიახ, აი როდესაც ის ხედავს სულით მდაბალს და გარყვნილს დედას, მაშინ დასწყევლა თვითონ დედა-კაცის არსებობა და იმის თვალში სრულიად დაეცა; იმან ტალახში გასვარა თავის მშვენიერი გრძნობა; მას შემდეგ ისეთის გრძნობითა და სიტყვებით მიმართა ოფელიას, რომელიც არ შეჰფეროდა, მით უფრო რომ უყვარდა და არც ერთი შეყვარებული ქალი კაცს იმ ნებას არ მისცემდა, რაც უნდა ძრიელ ჰყვარებოდა. რწმუნება ჰამლეტისთვის სიცოცხლე იყო და იგი მოკვდა, თუ არ მოკვდა მაინც-და-მაინც მეტად შეირყა; რისაგან? იმისაგან რომ ხალხი და სიცოცხლე იმისთანა არ შეხვდა, როგორც იმასა ჰყვანდა წარმოდგენილი და ნახე ისე, როგორიც ჭეშმარიტად არიან. ჰამლეტის მეორე ქვეყანას სიყვარული შეადგენდა, მაგრამ დედის საზიზღარმა ქცევამ უარ-აყოფინა ეს ნაზი გრძნობა. ჰამლეტის აზრით დედის სიმდაბლე მთელს დედობრიულ სქესს ამდაბლებს.

მით უფრო შეირყა შეხედულობა და რწმუნება, რომ იმას სხვა ნაირათა ჰქონდა წარმოდგენილი ხელმწიფური გამგეობა, მაგრამ რა ნახა?—ის, რომ როგორათაც მელები ისე იქცეოდენ სახელმწიფოს მართველნი მეფის წინაშე. იგი ჰკარგავს რწმუნებას, მხოლოდ დროებით და არა სრულებით... დიახ, აი ჰამლეტის იდეია: სულის ძალის სისუსტე, მხოლოდ დროებით. ჰამლეტი ბუნებითვე სულით ძრიელია...

*) იხილე „თეატრი" 1886 წ., № 19.

იმის შმაგიანი ირონია, უეცარი მღელვარება, დეედასთან ლაპარაკი, რომელიც ხან სიკვდილს ჰპირდება და ხან მშობლიურის სიყვარულით უალერსებს, ამაყური მძულვარება და შეუკავებელი მოშურნეობა ბიძაზედა—ეს ყოველივე ამტკიცებენ იმის ენერგიას და მაღალს სულოვნობას. ის მაღალი და ძრიელია თავის სისუსტეში, იმიტომ რომ დაცემული ძრიელი კაცი, მაინც სუსტს კაცზედ მაღლა სდგას. ეს იდეა იმოდონადვე უბრალოა, რამოდონადაც მაღალი, რომლის გამოცნობაც ჩვენ გვინდოდა და გვგონია, რომ დაახლოებით მივაღწიეთ კიდეც ჩვენს მიზანს, ეხლა გადავიდეთ ოფელიას ხასიათის გარჩევაში, რომელსაც ამ ტრაგედიაში ჰამლეტის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს.

ოფელია არის ერთი მშვენიერი და ნაზი ქმნილება რომელიც ბუნებითი ჭეშმარიტებასთან ჰარმონიულად არის შეკავშირებული, იგი სრულიად დაჯილდოებულია: ნაზის გრძნობით, ჰარმონიით, სიმშვიდით, სიყვარულით, მკრთალის ენებათა ღელვით და ყოველივე, მცირედი აღშფოთება იმაზედ ცუდად მოქმედობს, როგორც სიხარული, აგრეთვე მწუხარება, იგი გაჩენილია ჩუმის და მშვიდის გრძნობისათვის, მხოლოდ ღრმად კი აქვს იგი შთანერგილი, რომლის დაკარგვაზედ თავის სრულს ბედნიერებას დაჰკარგავს, მხოლოდ ისე კი, რომ წარსულს იდეალს, რომელმაც ის უარ ჰყო, შეჩვენების მაგიერ თავის ლოცვებში მოიხსენიებს და როგორადაც სანთელი ნელი-ნელა დაიწვის და იმას მტლად დაედება. იმას არ შეუძლიან კაცი დასწყევლოს, რადგანაც ქვეყანაზედ ბოროტებას სრულიად ვერა ხედავს. ოფელიას ჰამლეტი უყვარს, მაგრამ იმავე დროს მამა, ‘ძმა და და მახლობელნიც უყვარს; იმისთვის საკმარისი არ არის ჰამლეტის სიყვარულის ბედნიერება, იმისთვის საჭიროა სიცოცხლე მამაში და ძმაში, ისინი უყვარს მშობლიურის სიყვარულით და არა ისე, როგორც პატიოსანის ღირსებების მქონნი პირნი, თუ კიდეც შეამჩნევდა ცუდ ხასიათებს ის ტირილს დაიწყობდა, მაგრამ შეძულებით კი ვერ შეიძულებდა, ის იქაც კი კეთილს პოულობს, სადად კი სრულებით არ არის. როდესაც საყვარელი მამას იმ კაცისგან ხედავს მოკლულს, რომელიც იმას ისე აღტაცებით უყვარს, იმის მაგიერად რომ დასწყევლოს, შეაჩვენოს და იმითი განიქარვოს კაეშანი, თავის თავი მსხვერპლად მოაქვს და ჭკუაზედ იშლება მამის და ჰამლეტის დაკარგვისათვის.

ლაერტი საშუალო ჭკუის კაცია, არც თუ სულელი და არც თუ ჭკვიანი, არც კეთილი და არც ბოროტი (отрицательное понятіе), როგორც ყველა ახალ-გაზდა კაცი გულ-ფიცხია, მაგრამ სრულიად წვრიმალს საგნებზედ. ზვირგვინის კურთხევის დროს პარიჟიდგან დანიაში დაბრუნდა და გათავების შემდეგ კიდეე იქით აპირებს წასვლას.

რისთვის? — რასაკვირველია საქეიფოთ, როგორც ეხლა ახალ-გაზდა ყმაწვილი კაცები გაისეირნებენ ხოლმე საფრანგეთისკენ და ხან მოწყენილს ჰერმანიასაც დაათვარიელებენ ხოლმე, რადგანაც პირიქში მისასვლელად ჰერმანიაში უნდა გაიარონ.

ლაერტს მამა უყვარდა — მაგრამ როგორ? ისე, როგორც შვილს მოსიყვარულე მამა, რომელიც სრულს თავისუფლებას აძლევს საქეიფოთ და დროების გასატარებლათ. იმას უყვარს ოფელია, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იმაში ხედავს კარგს თვისებებს. ლაერტი თავსაც იდებს დის სიმშვენიერით, მაგრამ ის კი არ იცის რაში მდგომარეობს იმის ღირსებანი. ლაერტი იქამდის მიჰყავს თავის კეთილს გულს და სისუსტეს, რომ მეფის იარაღათა ხდება, თუმცა ამ მახეში თვითონვე ებმის და ბოლოს ყველაფერს სიკვდილამდის ჰამლეტს უამბობს...

პალონია სახელმწიფო საქმეებში გამოცდილი კაცია, რომელსაც ლაერტზედ განშორებით ბევრი უნახავს და გამოუცდია, როგორც მოხუცი კაცი; მაინც-და-მაინც გონებით-კი ძალიან შორს არ წასულა. ყმაწვილობისას ყოფილა ცელქი ბოლოს და ბოლოს დადარბაისლებულა, რომელსაც ოხუნჯობის ნიჭი ეტყობა. როგორც მოხუცი სასმელის თაყვანის მცემელია. ეს ისეთი კაცია, რომ საიდგანაც ქარი დაუბერს, იქიდგან მოქცევა და «არც მწვადს დასწოვს და არც შამფურს», როგორც ქართული ანდაზა ამბობს. ერთი სიტყვით პალონი მოკლე ჭკუის გამოცდილი და ცოტა არ არის გაიძვერა ხასიათის მქონია რომელიც ხან-დის-ხან გარკვევით ემჩნევა, მაგრამ უფრო გარკვევით ესმის გემრიელი საჭმელი, რბილი სარეცელი, გარყვნილობა, სიმდიდრე, დიდება და სხვა, მაგრამ ის კი აღარ იცის, რომ ამავე ქვეყანაში არის რაღაცა მაღალი, რომელიც წმინდა სვიწიდისის და პატიოსნების საგანს შეადგენს...

მეფე დედოფალიც იმავე შეხედულობისანი არიან ცხოვრებაზედ, როგორც პალონია, რადგანაც გარდა სიმდიდრის, დიდების და ბატონობის მეტი არა სწამთ რა, მაგრამ არც ერთს მათგანს არ შეიძლება ბოროტი კაცი დავარქვათ. დედოფალი სუსტი დედა-კაცია. იმის პირველი სიყვარული წმინდა იყო, მხოლოდ სხვა ხასიათი ჰქონდა. ზოგნი ხალხნი იმისთანა თვისებების მქონი არიან, რომ როდესაც სიყვარულის

აგანს ჰკარგავენ, ხელ-ახლად შეუძლიანთ ისევე წმინდათ, სხვა შეიყვარონ; ზოგნი კი, თუ პირველი დაკარგეს, იმას ამსხვერპლებენ ყოველივეს და სხვისთვის ისინი მკვდარნი არიან. ამიტომაც ცხოვრებაში ვხედავთ, რომ სამჯერ ოთხჯერ შეუძლიან ზოგიერთს წმინდათ შეიყვაროს. მხოლოდ ეს გრძნობანი ხასიათით განირჩევიან, რადგანაც მეორე უფრო ძრიელი და მაღალია. დიახ, დედოფალი პირველს კატეგორთაგანს ეკუთვნის, რომელიც თავის მაზლს იყვარებს, იმიტომ რომ ის ქმარზედ უფრო მწითურია. ეს სისუსტეა—და არა ბოროტება. დედოფალს ეჭვიც არა ჰქონდა შეტანილი ძმის სიკვდილზედ, დედოფალს ჰამლეტი უყვარს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შობა და არა იმიტომ რომ მაში რაიმე მაღალს ღირსებათ ხედავს.

მეფეც არა არის ბოროტი კაცი და თუმცა იჩენს, მაგრამ ეგ ხასიათის სისუსტით მოსდის და არა წინად განძრახვის სულის ბოროტებით. მეფე იმოდენათვე კეთილია, რამოდენათაც სულით მდაბალი მიმართულებისა, რომელმაც ცხოვრების მაღალი და წმინდა საგანი არ იცის, გარდა სიმდიდრის დიდებისა, და მდაბალი მოშურნეობისა.

ბორაციოს კეთილი ინსტიკტიურად უყვარს რომელიც იმაზედ სრულიად არა სჯის. იგი პატიოსანი და გულ-ღია კაცია; ბორაციოს ჰამლეტი უყვარს, როგორც კეთილი, პატიოსანი კაცი, თუმც კი ვერ ამჩნევს იმ სულის სიმაღლეს, რომელიც საშინლად თავის თავს ებრძოლება, ამიტომაც ჰამლეტი იმოდონა საიდუმლოებას ანდობდა ხოლმე, რამოდონიც კი ბორაციოს შეჰფეროდა, თუმცა ამასაც საჭიროების გულისათვის და არა მეგობრობით.

ი. კავთელი.

(შემდეგი იქნება).

*
* *

მთვარე ქათქათებს, ვარსკვლავნი ხტიან,
მძინარს ქვეყანას თავს დაჰხარიან..
შორის მოსჩანან მთანი ჭალარა—
მათ ალისკროვნებს ცისა კამარა.
იმათი ჩრდილი დაფენილ ჭალებს
ალებს გარშემო შავსა ზონარსა...
თავს დაჰსცქერიან დადუმებულნი
ამ უცხო მხარეს, ფაქიზს, ნარნარსა.
მათგან ნადენნი მდინარეები,
სხივით მოსილნი, იხატებიან,
ჩემსა ქვეყანას, ტურფად ჩათვლემილს
«ნანას» უმღერენ, ირგვლივ უვლიან.
მათ ნაპირებზე სუნნელოვანნი
ყვავილნი ფერად იფურჩქნებიან,
მემუსაიფე ცის ვარსკვლავებთა
სუნსა უკმევენ, სალამს უძღვნიან...
ყველგან სიჩუმე... ყველგან დუმილი:
ყველას მოიცვავს ნეტარი ძილი.
მხოლოდ ხან-დის-ხან დასავლეთიდგან
ნიავი წყნარი მოექანება,
ყვავილთ სუნს ჰკრეფავს, ალერსიანად
მძინარს ბუნებას ესაჩუქრება,
და ხან-დის-ხანაც შორიად, სადღაც
ჰუკურს დაჰგალობს უცხოდ ბულბული,
ტკბილ ჰარმონიას ქვეყანაც და ცაც
ყურს მიუგდებენ სულ განაბული...
ცა მიწას ეტრფის და მიწა ცასა!
დღესასწაულობს ტურფა ბუნება!
ბავს—სამყაროსთვის ზეგარდმო ძალსა
მოუვლენია ბედნიერება!...
ვდგევარ მარტოკა... საბრალო გული..
სულ ვერ ამშვიდებს მას ამალამის
ღვთიური ესე მშვენიერება!

გ. თირქელი.

საახალწლო

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი;
ფეხი ჩემი—კვალი ანგელოზისა“.

სახალხო მილოცვა

ეს ერთი წელიწადიც ჩავატარეთ ასკინკილით ქამთა-უფსკრულში და ახლა ახალს მოველით, რომ იმავე ალტაცებით, დიდის იმედებით მივეგებნოთ და იმავე ერთ-გვარობით და უფერულად-კი გავატაროთ. ან და რა გვაქვს საქებური? რა თამბალითები შევიძინეთ, რომ ქუდები ჰაერში ავაგდოთ და ფიანდაზად გავეშალოთ მომავალს წელს. „ძაღლი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო?“ მოსვლით რა მოგვიტანა და წასვლით რას შეგვძენს!

უბრალო ჩვეულება, უბრალო სიტყვების რახარუხი და იმედები, რომელშიაც არა ყრია-რა და რო-

მელსაც ჭეშმარიტება, როგორც ქარი გამხმარს ფურცლებს, ისე გაჰფანტავს.

ნუ თუ ამდენი წლეების გასელამ არ დაგვიმტკიცა, რომ „ახალი“ ტყუილადა ჰქვიან და ახალს წელს ზურგს აკიდებული ახალი არა მოაქვს-რა? რასა ეხედავთ საღტაცებოს და სულის დასამშვიდებელს, გულის მოსალხინარს? არაფერს! მაგრამ, მაინც რას ვიმედოვნებთ? არაფერს! რას მოველით ამ ახალი წელისაგან? არაფერს, არაფერს, ბატონნო, ეს დღესასწაული იმიტომა ggვრის პირზე ღიმილს, ქეიფი გვინდა და ახალი წელიც მიზეზს გვაძლევს, რომ

უზრუნველადა,
ხელში ხელადა
ვხტოდეთ,
ვიძახდეთ
ჰარიალალე!

და სხვა არაფერი! რის იმედი, თქვენგან არ მიკვირს! მაინც ზოგს კი თითქოს იმედი უღვიძდება გულში და რაღასაც მოელის, თუმცა თითონვე-კი გრძნობს, რომ ტყუილად იმედოვნებს, რომ ახალს წელს მისი ბედის შეცვლა არ შეუძლიან,—იმედობს-კი, ლხინობს, აღტაცებაშია!

მე, ჩემო მკითხველო, როგორც ამ პროზაიკულს ცხოვრებაში პრაქტიკულს კაცს გული გატეხილი მაქვს და არა მანუგეშებს-რა, მავნებელადაც კი მიმაჩნია ეს უბრალო აღტაცება და მხიარულება. უწინ, როდესაც მეც ახალი წლის მოსვლა რაღაცა ახალს იმედებს მიღვიძებდა, ღვთის წყალობა გაქვს, რომ ჩვენებურად შემოვძახებდი ხოლმე და სავსე ყანწებს ბოლოს ჭერში ავაშვერინებდი, მაგრამ ეხლა

წარსულით გაცრუებულსა
არა-რა მწამს-რა მომავლის,—
როგორც წარსული წლეები,
ისე მოვა და გაივლის.

მაჩვენეთ რამე მიზეზი, უბრალო ნიშანი არის მაინც აღტაცებისა, მითხარით, აი ეს გაუკეთესობა მოგველის ამ ახალის წლით და თქვენზე ბევრს ვიღრიალებ, თქვენზედ მეტს ვიმხიარულებ, ათს ფუთს გოზინაყს მოვახარშვინებ, სიხარულით ერთს ტიკს ღვინოს დავლევ და ისე დავითვრები, რომ თორმეტმა რუმბმა წყალმა ვერ გამომაფხიზლოს!

* * *

მართლაც და მივიხედ-მოვიხედოთ, თვალი გარდავაველოთ ჩვენს ცხოვრებას: ყველგან შეუკავშირებლობა, მტრობა, ერთმანერთის ტალახში გასვრა და სანუგეშო კი არაფერი!..

ამ უფერულსა ცხოვრებას
არა აქსრა-რა სალხინო
და ტყუილია მოლოცვა,
ეგ გოზინაყი, ეგ ღვინო.

და ან კი რათ იქნება ბევრი ჩვენგანი კარგს მდგომარეობაში, თუ ჩვენ თითონვე არ ვიზრუნავთ, ჩვენს კეთილს ცხოვრებას არ ავაყვავებთ, რომ შემდეგ იმის სიმწვანით დავსტკბეთ. ვეცდებოდით, ჩვენი სიცოცხლე გაგვეუკეთესებინა, რომ ახალს წელს უზრუნველობის ზრუნვას მივცემოდით. მთელი წელიწადები ერთმანერთის მტრობის მეტი არა გვიკეთებია-რა და წლის დამლევს, ახალი წლის დასაწყისს-კი ჩვენი კეთილის მდგომარეობით და განწყობილებით გვინდა ვიმხიარულოთ და ვილხინოთ, საკვირველია, ღმერთმანი! მე, მკითხველო,

რაც არ გითესავს ოფლის ღვრით,
იმის მომკვასა ნუ ელი,—
თუ წარსულს ვარდი არ დარგი,
არ აგიკოკრებს ეს წელი!

* * *

ახალი წლის პირველი დღე სანატვრო დღეთ ითვლება და ჩვენც ამ მნიშვნელობას ნუ დაუკარგავთ, ვინატროთ ის, რასაც ერთი ნაბიჯითაც არის ჩვენი ცხოვრების წინ წაწევა შეუძლიან, ვინატროთ, რომ ჩვენი „დრამატიული საზოგადოება“ ბატი-ბუტის ხალვაში არ იყოს გართული და გამოფხიზლებულიყოს,—რომ ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოება“-ს წელიწადში შვიდისთვის მაინც ესწავლებინოს წერა-კითხვა;—ხალხს თეატრის მაღალი მნიშვნელობა გაეგოს და მომავალშიაც კეტებით შესარეკი არ იყოს სათეატრო დარბაზში,—ჩვენი ბანკისაგან მამულები იმათვე ეყიდნოთ, რომელთაც დააგირავეს, საკუთარის შრომით მოპოვებულის და არა «მიკირტუმ ბასპარიჩებისაგან» დავალებული ფულებით,—„ნობათი“ მზეთ-უნახავი ქალივით ცხრა-თვეში ერთხელ არ დაენახვებოდეს ხოლმე თავის მკითხველებს და საყმაწვილო ჟურნალს ყმაწვილური ხალისი მისცემოდეს ქვეყნად გამობრძანებისა,—რომ ნაბარტყს „ივერიას“ უწინდელი დოდინი და უფერულობა მოშორებოდეს, თავისი მოვალეობის პირ-ნათლად აღმასრულებელი იყოს, იზრდებოდეს, ვრცელდებოდეს და მკითხველის გულიც მოგებული ჰქონდეს,—რომ ჩვენი „თეატრი“ რედაქტორ-თანამშრომლებითურთ და

მკითხველებით მრავალს წელიწადებს დასწრობოდეს, უფრო უკეთესებს, რასაკვირველია, და ისე დაბერებულიყოს, რომ თავის პერანგიც ველარ ეზიდნოს...

მე ჩემი სანატვრო ვინატრე, — თუმცა კიდევ ბევრი დამრჩა, მაგრამ ეხლა არც შემიძლიან და არც შეიძლება, ახლა შენი რიგია, მკითხველო; ვინატვროთ და როდესაც ჩვენს ნანატვრს ასრულებულებს ვიხილავთ, მაშინ ვილხინოთ, მაშინ დაუხვდეთ გულგაშლილი ახალს წელს, საერთო სიტკბოებას გოზინაყის სიტკბილეც მიუმატოთ და ქართველური გრძელი ყანწები მაშინ გამოვსცალოთ, ეხლა-კი, როგორც მოგახსენეთ,

ნატვრასთან ხელებიც გავსძრათ,
ფიშრომოთ, ჯაფა გავსწიოთ
და როცა ნაყოფსა ენახავთ,
ყანწები მაღლა ავსწიოთ!

ს. ახ—ოვი.

ლ ე გ ე ნ დ ა

მურზაყ ნ შავ-სევდიანი

(მთიული გმირი)

საზოგადოდ მთებში და განსაკუთრებით თავისუფალ-სვანეთში საკვირველი ახოვანი და თვალ-ტანადი ხალხი იცის. იმათში რომ ვინმე გამოერჩეს მშვენიერებით, ის მართლა საარაკო უნდა იყოს და ამისთანაც ყოფილა მურზაყან შავ-სევდიანი! მის გოლიათურ ტანს, თვითოეული სხეულის წევრი ისეთის თანსწორობით ჰქონია შენაკეთი, რომ მნახველს საგანგებოდ ჩამოსხმული ეგონებოდაო. ლომის ძალგული, ვეფხვის სიმარდე, ბრძნული წინ დახედულობით შეზავებული, მის არსებას უმაღლესად აგვირგვინებდაო. Oითქოს ბუნებას საკუთრად მისთვის მოეცალოს და თვისი შემოქმედებითი ძალა მაზედ გამოეჩინოსო. — ზრდილი, თავ-მდაბალი, ბუნება-თანაზიარი და მხიარული ყოველთვის და ყოველგან, ყველასთვის თვალის ჩინი იყოო. — ძვირად თურმე უნახავსთ გარისხებული, მაგრამ იმ დროსაც ასე იტყოდა კაცი, რომ ნეტავი ახლოს არ მიმაკარა და შორიდან კი თვალი არ მამაშორებიაო, ისე შვენოდაო. — ჯერ ისევ ახალ-გაზდა ყოფილა, ღალატით რომ მოუკლავსთ. მაგრამ ბრძოლის დროს საარაკო გმირობა კი ჩაუდენია.

ხალხში მრავალ გვარია იმაზედ თქმულობა. აი ერთი იმათგანი სასიმღერო:

—

„მთვარე ერთია, ერთი მზე, მურზაყანც ერთად-ერთიო.
ღალოცოს წმინდა ბიორგიმ, მაღლით სწყალობდეს ღმერთიო;
დევ-კაცსა ტანზე აუბამს ფოლადის გული, მკერდიო;
აღსხამს რკინის გვერდები, რკინისვე ფიცარ-ფერდიო!

—

არწივს წაართვა თვალები, მუხლი მოუბამს მგლისაო,
მხარ-მკლავი ამირანისა, ამირან მძლეთა-მძლისაო;
შეეარდენია მთა-კლდისა, ხოხობი ძირ-სოფლისაო,
დიდი პატრონი, მოსარჩლე საბრალო ქვრივ-ობლისაო.

—

მურზაყანს წიგნი მოუდის: მოყვრებმა დაგიბარესო!
მურზაყან ფრთხილად იყავი; ნუ წახვალ უცხო მხარესო,
ნუ დასცდი, ფეხს ნუ გადასდგამ სახლიდან ახალ-მთვარესო.
არ გიღალატონ მარტოსა ფლიდებმა სხვისა კარესო.

—

არ დაიშალა ასე სთქვა: სად არის ჩემი მტერიო!
ბამიდიაცდენ მებძოლნი, მნახონ, დაჰკარგონ ფერიო!..
რომ მომეჯაროონ, შევჰყვირო, გავეფანტო როგორც მტვერიო,
მათი მოყვრები ვატირო, იგლოჯონ თმა და წვერიო!..

—

დაიგვიანა მურზაყან. ცნობა მოვიდა ოდისო:
მურზაყან ბარით დავტეეთ, მად მთებში აღარ მოდისო!
სახლი აიგო მიწისა, სახურავი აქვს ლოდისო,
და აქ ბარი „ვაის“ იძახის... მთა „უის“ იძახოდისო.

ახალ-წელს!!!

(საყოველთაო თხოვნა)

—

ო, საყვარელო ახალო წელიწადო! შეისმინე ჩვენი ვედრება, განკურნე ჩვენი წყლულები, განაქარ-

ვე ჩვენი მწუხარება! მოაშორე ჩვენს ქრმებს ცოლის მეგობრები და შეამცირე რქიანი ქმრები. ჩვენს მეგობრებს სიმართლე მიანიჭე, და სიმართლეს კი მეგობრები. ძუზიანები გაასწორე, ბრმები თვალ-ხილულებადა ჰქმენ და კოჭლები ფეხ-მართლად. ჩვენს ცოლებსა და ქალებს დაუმოკლე ენა, ტიურნურები და ფეხები, რომ ქარვასლაში სავაჭროდ ხშირად არ დარბოდენ. ამ სიცივეში გაზაფხულის ნიავ-ქარი მოგვბერე და თავ-ქარი-კი მოგვაშორე. იქამდინ ნუ დაგვამცირებ... და ისე აგვამაღლე, როგორც ჩვენა ვფიქრობთ ჩვენს თავზე. ბამოუგზავნე ჩვენს მსახიობთ საუკეთესო როლები და როლებს საუკეთესო მსახიობნი. ბაგვიმრავლე დრო-გამოშვებითი გამოცემანი,—ჟურნალ-გაზეთები, ჟურნალ-გაზეთებს მწერლები, მწერლებს მკითხველები და მკითხველებს ჭკუა-გონება, განვითარება, დღე-გრძელობა და კითხვის ხალისი. მოსპე მომავალს წელს პოლემიკები, შეგვირიგე ბ. ბოგებაშვილი და ღულაძე, რომ ერთად იშრომონ და საერთო შრომით ჩვენი შვილები სულ პედაგოგები გახადონ; პირველს ცოტა დააეწყე თავისებური... ჩვენს პოეტთ უხუცესს ოც-და-ათი პოემა დააწერინე და სულ საუკეთესოები, რასაკვირველია. მშვენიერს მემოთხრობეს მოჩხუბარიძეს ისეთი დიდი მოთხრობა დააწერინე მოხეევთა ცხოვრებიდამ, რომ რაც მოხეევნი არიან მთაში ჩამოვიდენ და მაინც ვერ მოერიონ იქ წასაღებად. ჭიჭინაძეს იმდენი ნიჭი მიეცი, რომ საქართველოს ბელინსკი შეიქმნას და ან ამ წელს ნურც ერთს წინა-უკანა-შუათანა-სიტყვაობებს ნუ დააწერინებ. მიეც ჩვენს ხალხს სიმხნე, რომ ზურნა-ნალარით მიჰბეგვონ ყველა... ბ. მესხს ახალი «ქართლის ცხოვრება» დააწერინე და ქუთაისის თეატრის სცენაზე წააკითხე. მძინარეს ენა გაუსწორე, ხმა და სახე შეუცვალე; ანდრონიკოვის ქალს ფეხებში სიმარჯვე მიეცი... სალეკურად. «თავად-აზნაურების ბანკს» ვერის ახალი ხიდი და ყორღანოვის ტრუბა შესძინე... ჯერ გირაოდ და შემდეგ სრულს საკუთრებად. პ. უმიკაშვილს ახალი პიესა დააწერინე, მხოლოდ სახელად «მისანი»-კი არა მიზანი ერქვას. ცახელი ორის ხელით აშრომე, მაგრამ ცალის ჭკუით-კი აფიქრე, როგორც ყოველთვის, და ცალის აზრით ახელმძღვანელე, საზოგადოდ ყველას მოაშორე ცუდი-სიზმრები და შეჩენილი ეშმაკები, რუ სიამაოდ აჩხრიალე და რთველი, რთველი გაამრავლე, რომ კნიაზებს მარნები ღვინით აევსოთ. ყველას სასუფეველი გვაღირსე, მხოლოდ, თუ ღმერთი გრწამს, რაც შეიძლება გვიან. და დასასრულ ისე მოახერხე, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მცხოვრებმა თავის საკუთარს ნომერს «თეატრში» წაიკითხოს ეს სტრიქონები.

ამინ!

ს—ხ!

ნარევი

შაირები

(ქართლში შეკრებილი ი. დ—გან)

შენ იმერელს კაცსა გვეხარ
ჩოხა სახელ განიერსა,
რაც გინდა ბევრი გაჭამო,
ვერ გაგიშვებ მადლიერსა.

—

შაირებისა გამოთქმა
შენთვის რა გასაჭირია;
ბუზების საყლაპავადა
დაგილრენია პირია.

—

დედამთილი წნილს არა სჭამს,
მამამთილი ლახანასა,
შენ შაირში ვერ მაჯობებ,
თავი გიგავს ჩალხანასა.

—

ქალაქს ვიყიდე ბარები,
მცხეთას დავასხი ტარები,
თუ შაირები არ იცი,
რატომ არ მომებარები.

—

შაირის თქმითა ვერ დამღლი,
ახლო ნუ მომეკარები;
სხვისგან რისთვისა სესხულობ,
ადე მოძებნე კარები.

რუსული გაზეთიდგან.

◆ თერამეტს დეკემბერს, სამხედრო გუბერნატორი ადლისტნის მაზრის ღენერალ-ლეიტენანტს თავადს ჭავჭავაძეს ბედნიერება ჰქონდა გამოცხადებულიყო მათ უმაღლესობის ხელმწიფე იმპერატორის და მათ უმაღლესობის ხელმწიფე იმპერატრიცას წინაშე.

◆ 6-ს იანვარს კრუჟოკის შენობაში გამართული იქნება ბალი სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. მთელი თბილისის საზოგადოება უწინდებურად თანაგრძნობით შეხედავს ამ მიზანს, რომლისთვისაც ეს ბალი კეთდება. ამ ბალის მოთავედ კნეინა ბარბარე გიორგის ასული ბარათაშვილისაა, რომელიც ყოველთვის გულ-მხურვალე მონაწილეობას იღებს ხოლმე ამ გვარ საზოგადო სასარგებლო საქმეებში.

◆ ქალაქის საბჭოს განკარგულება მიუცია, ნება დართონ სოფლიდგან ჩამოსულთ და ქალაქის ვაჭრებს ყველა თბილისის ქუჩებში და მოედნებზედ ივაჭრონ ხილით და ხორცეულის ხორაგეულით ვიდრე იანვრის 7 დინ.

◆ თბილისის კრუჟოკში გამართულს სატანციო საღამოდგან ტუსაღების სასარგებლოდ; სულ შემოვიდა 743 მანეთი და 45 კაპეიკი. ხარჯს გარდა, რომელიც ვიცე-პრეზიდენტს თბილისის გუბერნატორს ალექსანდრე იგნატეს-ძე გროსმანს გარდაეცა.

კომიტეტი გულითადს მადლობას უხდის იმ პირთ, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ამ საქმის გაღორძინებაში.

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

განცხადებანი

იბეჭდება და ჩქარა გამოვა

ოთხ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა

თხზ. თ. აკ. წერეთლისა

თამარ ცბიერი

ადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდვე ხელის-მოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი ათი შაური

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

КАВКАЗЪ

на 1886 годъ (41-й годъ изданія)

Въ 1886 году газета "КАВКАЗЪ„ будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

	съ доставкою въ Тифлисѣ.	СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ по Имперій	СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ по почтовому союзу
На годъ	11 р. 50 к.	13 р.	18 р. 40 к.
„ полугода.	6 р. — „	7 р.	10 р. — „
„ 3 мѣсяца.	3 р. 50 „	4 р.	6 р. — „
„ 1 мѣсяцъ.	р. 50 к	2 р.	1 р. — „

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы. Домъ Ротинова. *Для иногор. адресовать*: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“.

ნამდვილის კახურის ღვინის მოყვარეთათვის!

სარდაფი კახურის ღვინების თავად ზაქარია რევაზის ძე

მაყაშვილისა

აქვს პატივი აუწყოს თბილისის საზოგადოებას, რომ 1886 წლის, იანვრის 1-ლიდგან გახსნის სარდაფს მიხაილოვის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ, ნარიმანოვის სახლში, № 20/9.

(3—2)

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 31 декабря. Типографія Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.